ᲨᲕᲔᲚᲘᲓᲦᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲤᲐᲡᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ 80 ᲙᲐᲞ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

თბილისი, ელისაბედის ქ., 200

რედაქტორი იღებს ყველ. უქმეების კარდა ყოველ დღე ნაშუადღევის 5-7 ს.

დაწუნებულ ხელნაწერებ. ავტორს ეკან არ დაუბრუნდება, ამრეთვე ხელნაწერების შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ მართავს.

რედაქციის ტელ. 2-98

გამოდის ორშაბათობით.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ღია ყოველ დღე დილის 9-ᲓᲐᲜ საათამდე.

მიიღება განცხადებანი ტარიფი ლირ. 1.

რედაქცია სთხოვს ამ ბანაგებს მეგობრობ. ლიანდაგიდან მასალებ. და წერილები საკითბოროტო კითხვებზე.

დაბეჭდილ წერილების ავტორებს მიეცემათ გასამრჯელო შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვენ. გაგზავნილ წერილებ. ზედწარწერით.

№ 14 თბილისი, ორშაბათი, 7 ᲐᲠᲗᲚᲘᲡ 1919 ᲬᲚᲘᲡ № 14

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ამას წინათ ჩვენ მთელი წერილი ვუძღვენით ამ საკითხს. არ მიგვაჩნია ზედმეტად, რომ დღესაც შევჩერდეთ ამ მეტად მწვავე საკითხზე. მთელი ჩვენი ბედი, ჩვენი რესპუბლიკის არსებობა დღეს ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს მხოლოთ მაშინ შეუძლია არსებობა, თუ მას აქვს საწარმოო ძალები, თუ მრეწველობა განვითარებული, თუ ასე თუ ისე მოწყობილია ფულის სისტემა და საერთოთ ფინანსიური მდგომარეობა. ჩვენში კი ამ მხრით ჯერჯერობით მეტად უნუგეშო მდგომარეობაა. საერთო სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ჩვენში უფრო მეტი საქონელი იხარჯება-ინთქება, ვიდრე მზადდება. მწარმოებელი უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე აკეთებს, ან ერთი თუ მუშაობს, ათი-თორმეტი მუქთად ცხოვრობს, ეწევიან შუამავლობითი ოპერაციებს. სხვის მიერ შექმნილი საქონელი გადადის 20—30 კაცის ხელში და ამ გვარად საქონლის ფასი ბატონობს. ბაზრობა ცვალებადია, ასევე სახელმწიფოში ტატასტროფა მზადაა.

[illegible] საქონლის, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

პროფესიონალურ კავშირის კასის მდგომარეობა,—შეუძლია თუ არა კავშირს გაუწიოს ნივთიერი დახმარება გაფიცულთ და სხვა, 3) ბევრია თუ არა ბაზარზე უმუშევარი, ვინაიდან თუ უმუშევართა რაზმი დიდია, მაშინ მოსალოდნელია თავი იჩინოს „შტრეიკ-ბრეხერობამ“ და სხვა, 4) არის თუ არა ეს გაფიცვა სოლიდარული, დგას თუ არა დიდი უმეტესობა მტკიცეთ გაფიცვის პოზიციაზე, 5) უკერს თუ არა ამ გაფიცვას მხარს საერთოთ პროლეტარიატი და მათი პროფესიონალური ორგანიზაციები და სხვა...

არ კმარა მარტო ქუჩაში გამოხტომა და ყვირილი:

— ჩვენ გაფიცულნი ვართ და დაგვეხმარეთო.

საჭიროა ყოველივე წინდაწინვე იქმნას აწონილ-დაწონილი და მხოლოთ ასჯერ გაზომის შემდეგ გამოცხადდეს ეს უდიდესი საშუალება ბრძოლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით გაფიცვას უკუდება სახელი და ის მთავრდება სრული დამარცხებით.

ყველა ამის მოყვანა ჩვენ დაგვჭირდა იმიტომ, რომ დღეს ბევრს გაძახიან გაფიცვაზე.

გაფიცვა—ეს რაღაც მოდათ გადაქცეულა. ნამდვილად კი ეს მეტად სერიოზული საქმეა და მას დიდი ჩაკვირვება ესაჭიროება. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა ისინი, ვინც ასე თამამად გაიძახიან გავიფიცებითო, საჭიროა ჩაუკვირდენ ამ დღეებში ერთი გაფიცვის სამარცხვინოდ ჩატარებას და უფრო სიდინჯით და ყურადღებით მოეპყრან ისეთ წმიდა იარაღს, როგორიცაა გაფიცვა. ქალაქის მოსამსახურეებმა არ მიაქციეს არაფერს ყურადღება.

მათ აშკარად იცოდენ, რომ ეს გაფიცვა სრულიად უმიზნო იყო, ვინაიდან ეს გაფიცვა ვერ გაავსებდა ქალაქის კასას, პირიქით უფრო გაართულებდა ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობას. იცოდენ ისიც, რომ გამგეობას ჯიუტობით არ მოსდიოდა მათთვის თავის დროზე ჯამაგირების მიუცემლობა. კარგად იცოდენ ისიცა, რომ ეს გაფიცვა მიმართული იქნებოდა თვით დემოკრატიის წინააღმდეგ და ამიტომ მათ მხარს არავინ დაუჭერდა: არც პროფესიონალური კავშირთა საბჭო, არც მუშათა საბჭო და არც მასსა. თვით მოსამსახურეთა კავშირშიაც არ იყო ერთსულოვნობა,—დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო გაფიცვისა. მხოლოდ ერთ ჯგუფსა სურდა გაფიცვის მოხდენა, ვინაიდან ეს ჯგუფი ყურს უგდებდა ბოლშევიკურ ელემენტებს და იმ პირთ, ვისაც ჩვენში არევ-დარევის შეტანა სურს. ეს ჯგუფი გაფიცა, მაგრამ ჩქარა მათშიაც იჩინა თავი ხრწნამ და აი თითო-ოროლა ამ გზა აბნეულთა თხოვნებით ხელში უბრუნდება ქალაქის გამგეობას. ისინი ემუდარებიან:

მიგვიღეთ უკანო.

აი ასე სამარცხვინოდ დამთავრდა ეს გაფიცვა.

და ასე სამარცხვინოდ დამთავრდება ყველა ის გაფიცვა, რომელიც არ გაუწევს ინგარიშს პროფესიონალურ მოძრაობას თვით ანბანურ ჭეშმარიტებას. მუშათა კლასი ყოველთვის დიდი სიფრთხილით და დაკვირვებით ეპყრობოდა გაფიცვის საკითხს. ქალაქის მოსამსახურეებმა კი გაამასხარავეს ეს გაფიცვა და შებღალეს ეს ბრძოლის წმიდა საშუალება.

არჩილ რუხაძე

სწავლა-განათლების საქმე შვეიცარიაში

წინა წერილში ჩვენ განხილეთ, რომ შვეიცარიაში გლეხი, მიუხედავათ, იმისა რომ წერა-კითხვა იცის, ჩვენ გლეხზე უკანა სდგას, ჩამორჩენილია. ჩამორჩენილია არა ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურად.

ეკონომიურად იქაური გლეხი ჩვენზე უკეთეს პირობებშია.

რა არის ამის მიზეზი?

რათა სდგას შვეიცარიელი გლეხი, ნასწავლი, წერა კითხვის მცოდნე, პოლიტიკურად ჩვენ უსწავლელ გლეხზე დაბლა და რათ არის ის ეკონომიურათ უკეთეს პირობებში?

ავხსნათ მოკლედ პირველი კითხვა.

შვეიცარიაში სწავლა-განათლება, შეიძლება ითქვას, კარგ ნიადაგზეა დაფუძნებული, თუმცა სწავლა განათლებაზე იხარჯება სამჯერ ნაკლები, ვიდრე სამხედრო ჯარზე, მილიციაზე.

სწავლა საყოველთაო, სავალდებულო. სკოლები ყველგან სამყოფია და კარგათაც არის მოწყობილი.

დამოკიდებულება მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის არის კარგი, მეგობრული.

ეს მეგობრული დამოკიდებულება მტკიცდება და ნიადაგს იკიდებს იმ გარემოებით, რომ მასწავლებელს კვირაში ერთხელ თავისი მოწაფენი უსათუოთ მიეკვს სასეირნოთ სკოლის გარეთ.

ამნაირ სეირნობის დროს მასწავლებელი უხსნის მოსწავლეთ სხვა და სხვა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

თამაშობს, მღერის, დარბის, ხტუნაობს ბავშვებთან ერთათ. ასე აუვარებს ბავშვებს თავს, ასე მაგრდება, მტკიცდება ამ ორ ბანაკთა შორის მეგობრული კავშირი.

ამიტომ, იქ ბავშს სკოლა, სწავლა უყვარს. მასწავლებელიც უყვარს, პატივსა სცემს, ათასებს და სკოლაში სულ ერთ ემორჩილება მას.

ქუჩაში რომ მოსწავლე თავის ადმზრდელს მასწავლებელს დაინახავს, მაშინვე გაიქცევა მისკენ და ხელს ჩამოართმევს. მასწავლებელიც სიყვარულით, ღიმობიერათ ეგებება მოსწავლეს, და რაც უნდა სიჩქარე საქმე ქონდეს მას, ის რამდენიმე წუთს მაინც მეგობრულათ ებაასება შეხვედრილ მოწაფეს.

შვეიცარიელი მასწავლებლები, უნდა ითქვას, სცდილობენ წაბაძონ შვეიცარიის ბედაგოგთა მამას, დიდებულ პესტალოცს.

პესტალოცი შვეიცარიაში ითვლება არა თუ წმიდა და სპეტაკ მასწავლებლათ, ის ითვლება ყველა ბავშვების მოკარეულ მამად.

ჩემს მიზანს არ შეადგენს დღეს პესტალიცის დახასიათება და მისი მოღვაწეობა—მნიშვნელობის აღწერა ვიტყვი მხოლოდ შემდეგს.

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, ერთ უმთავრეს (სადგურის) ქუჩაზე აღმართულია ბედაგოგთა ხსენებულ მამამთავარის პესტალიცის ძეგლი.

ძეგლზე ხედავთ თქვენ თვით პესტალცს, და მასთან მდგომ პატარა მოსწავლეს. ისე ფაქიზათ, ისედაფიქრებით, ისე მორიდებით და სიყვარულით წაუყვია ამ ბედაგოგს ხელი ბავშისათვის, რომ თვით უტნობიც-კი მიხვდება ამ ძეგლის მნიშვნელობას.

დგეხარ, შეჩერი და ვერ გამძღარხარ ამ სურათის ტქერით.

მამა ბედაგოგი ცდილობს ეს მოსწავლე ბავშვი დაარიგოს, გაამხნევოს, მარა ამას ის შვრება ისეთი ლიობიერებით და დაუფაებით, რომ ბავშვს არა ავნოს, არა ატკივნოს რა...

რომ პირუტყვსავით არ შვენის
მშრომელ კაცს სხვისი მონება!

—

მაგრამ ჭირს ჰფარავთ საოცრად
და დახვალთ უსაყვედურო!
არ გინდათ, რომ სხვამ შეგნიშნოსთ
და გითხრათ: „თქვენ უბედურო!“

—

ამ გვარი ამპარტავნობა
ძლიერებაა სულისა,
დიდება კაცად კაცადის,
დამატკბობელი გულისა

—

იმ უკვდავების წყაროთი,
რომელსაც ჰქვიან იმედი
და რომლის მოლოდინშია
კაცს ვერ ერევა შავ-ბედი.

—

დიაღ!.. იმედი გირჩევთ თქვენ
ჯერ გქონდესთ მოთმინებაო
და, როს საერთოდ თანსწორად
სურვილი აღიგზნებათ

—

. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .

—

ნუ გამოილევთ მაგ იმედს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი.

აკაკი.

მუშეგს*)

მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი!
მიწაა თქვენი ლოგინი
და ლაჟვარდი ცა საბანი;

—

უდროვოდ გცივათ და გცხელათ,
ბევრჯელაც რჩებით მშიერი,
მაგრამ ყველაფერს აიტანს
თქვენი ბუნება ძლიერი.

—

მიმხვდარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება.

*) ეს ლექსი აკაკი წერეთლის მიერ ოდესმე დაბეჭდილი უნდა იყოს. ეს იქიდგან სჩანს, რომ ერთი კუპლეტი წაშლილია ცენზორიდგან, რომლის აღდგენა შეუძლებელია, და, რადგან მგონსნის წინასწარმეტყველობა მუშებისადმი დღეს განხორციელებული შეიქმნა, ამისთვის საჭიროთ ვსთვლი ეს ლექსი კიდევ დაბეჭდოს განმეორებით.

რომ დადანიდგან სასწორით გადმოდებული არის, ამას ვამოწმებ მგონსნის აკაკი წერეთლის ხების აღმასრულებელი

კოტე აბდუშელიშვილი.

15/2 მარტი 1919 წ.

გარდამავალი ხანა და კაპიტალიზმის პრიზისი *)

II

ჩვენ ასეთი ზერელე და მოკლე პოლიტიკური მიმოხილვით გვინდოდა ნათელ-გვეყო ის ძირითადი ეკონომიური ცვლილებანი და მომწიფებული ეკონომიური საკითხები, რომლებმაც წარმოშვეს საერთაშორისო ომი და ყველა მისი შედეგები; ჩვენ ამ გზით გვინდოდა სინათლეზე გამოტანა და გამოააშკარავება იმ ძირითადი ეკონომიური მოვლენებისა, რომლების მიხედვითაც მოიქსოვა და იქსოვება სისხლითა და ცრემლით გაჟღენთილი პოლიტიკურ მოვლენათა ქსელი.

როგორც მარქსისტებმა, ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკური, სოციალური, იურიდიული და სხვა ზედ ნაშენების ფორმები ინგრევიან და იცვლებიან ახალი შესაფერი ფორმებით ეკონომიურ ცვლილებათა მიხედვით; ვიცით, რომ ისტორიას ჰქმნის საწარმოო ძალების განვითარება და აქედან წარმომდგარი ის ეკონომიური ინტერესები, რომლებიც ისტორიის ჩარხს ამოძრავებენ და სხვა და სხვა გვარად, სხვა და სხვა ინტერესობით ატრიალებენ დროსა და პირობების მიხედვით.

ამისათვის ჩვენც თვით მწვავე მომენტით იძულებულნი ვართ შეძლებისა და გვარად შევიგნოთ და გავარკვიოთ ის ეკონომიური პროცესი, რომელმაც გამოიწვია საერთაშორისო ომი და, როგორც მისი შედეგი, მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა ხვლანჯი და შეხლა-შემოხლა.

უკეთუ შევიძლებთ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ მოვლენათა დაახლოვებით მაინც სწორ გარკვევას, მაშინ ამის მიხედვით ორგანიზაციულად დავირაზმებით და ყველანაირად მოვემზადებით ყველა იმ ცვლილებათა მისაღებათ და განსახორციე-

* იხ. „თავისუფალი გზა“ № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზარდას... საქმე იმაში როდია, რომ მასწავლებელი მივიდეს სკოლაში და უთხრას შეგირდებს: აი აქედან აქნობამდი ისწავლეთო.

ჩვენს დალოცვილ საქართველოში ჯერ კიდევ ატყვია თვითმპყრობელობის გავლენა. თუ ბავშვი ცელქია, მას სწავლაში ნიშანს უკლებენ, სჯიან, ავიწროებენ, უჯავრდებიან, უყვირიან.

სამწუხაროდ, ჩვენს პედაგოგებს ავიწყდებათ ერთი ჩვენი ბრძნული თქმულება: „გველსა ხვრელიდან ამოიყვანს სიტყვა ტკბილსა მოუბარიო". მართლაც, და თუ სადმე ტკბილი სიტყვა გასჭრის,—ეს პატარა მოსწავლე ბავშვებთან.

ეს კარგათ იციან შვეიცარიის პედაგოგებმა და მათ არ უძნელდებათ ბავშების გულის მოგება.

აი სწორედ ამიტომ იქ სუფევს სრული თანხმობა, სიყვარული მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის.

გული ხარობს და სიამოვნებასაც გრძნობ, როცა ხედავ სკოლაში თუ სკოლიდან მომავალ ამ მხიარულ ჯანსაღ ბავშებთა გუნდს..

მარა კიდევ უკეთესი სანახავია, როცა მასწავლებელს თავის მოწაფენი სასეირნოთ მიყავს.

მთელი დღეობით მიდიან მინდორში, ტყეში და აქ ატარებენ დროს.

ხან თამაშობენ და ხანაც სწავლობენ. სწავლობენ არა წიგნებით ხელში, არამედ მასწავლებლის და ბუნების საშუალებით ..

ცოტა არ იყოს, სიტყვა გამიგრძელდა სკოლებზე, მარა ეს საჭიროა. საჭიროა იმიტომ, რომ მიუხედავათ ასეთი კარგი და სასარგებლო სკოლებისა, ამ სკოლებს მაინც არ მოაქვთ სარგებლობა.

არ მოაქვთ სარგებლობა, იმიტომ რომ ეს სწავლა არ გრძელდება დიდხანს. ასეთ კარგ სასწავლებელში დარჩენა სავალდებულოა მხოლოდ 14 წლამდე.

ამის შემდეგ-კი ეს ნორჩი, პატარა, ჯერ კიდევ ჯანით და ღონით სუსტი ბავშები მიეშურებიან ფაბრიკა ქარხნებში.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ძლიერ ცოტანი ხვდებიან ხოლმე და ისიც მხოლოდ და მხოლოდ მდიდრები.

მაგალითად: ციურიხის უნივერსიტეტში ამ სამი-ოთხი წლის წინათ სწავლობდა რვაასი მოსწავლე რუსეთიდან და მხოლოდ 40 შვეიცარიელი.

ასე რომ შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებელში დიდი უმრავლესობა უცხოელებია. აბა რა სწავლა-განათლება შეიძლება შეიძინოს ბავშმა 14 წლამდე?

აი ასეთი გონებრივი „ბაგაჟით" იწყებს ახალგაზრდა ქალი თუ ვაჟი უკვე ფიზიკურ მუშაობას.

ეს ფიზიკური სამუშაო პირობები-კი ძალზე ძნელია. ათ საათზე ნაკლები სამუშაო დღე არ არსებობს არსად შვეიცარიაში. დუქან - რესტორანებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში კიდევ მეტი.

ასე ეს ნორჩნი, სუსტნი არსებანი უდროოდ სახიჩრდებიან, ამ უზომო ჯაფას თავისი გააქვს, დაღს ასვამს.

პირადათ ვიცნობდი ბევრ მოსწავლეს, სიცოცხლით სავსეებს რომელნიც ორი სამი წლის ქარხნებში მუშაობამ გადააქცია რაღაც ადამიანის მსგავს მანქანებათ.

ისინი მიდიან თავის დროზე ქარხანაში. მოდიან სახლში. სვამენ. უფრო მეტს-კი სვამენ. ლუდი რომ არ მივიღოთ სახეში, იმათივე სტატისტიკით შვეიცარიელი სვამს მეტს არაყს, ვიდრე რუსი. კრებაზეც მოვა... ზის თავის ადაგს. სანამ ორატორი ლაპარაკობს, ის თავის სამს ოთხს და ხან მეტ ჭიქა ლუდს მიირთმევს და წავა სახლში, რომ კითხო, რაზე იყო ლაპარაკიო, ვერაფერს გიპასუხებს.

სამწუხაროა, მარა უნდა ვთქვა, რომ ასეა თვით მუშათა ორგანიზაციებშიც.

არსებული ბურჟუაზიული წესწყობილება, უვარგისი, ძნელი სამუშაო პირობები, მცირე, ხელფასი, რომელიც იძულებულ ხდის შვეიცარიელ მუშებს რაიმე სხვა სამუშაოსაც მოჰკიდოს ხელი.

მაგალითათ, ის მიდის საღამოობით ჯვირაობით რესტორანებში. ზოგი ლაქიათ, ზოგი მუსიკას უკრავს, ზო... ას და ზოგი რას.

იგივე მცირე ხელფასი იძულებულ ხდის შვეიცარიელ მშრომელთ თავისი შვილები ადრე 14 წლიდან სამუშაოთ გაგზავნონ ქარხნებში.

კიდევ მეტი. თვით მოსწავლენი საღამოობით, თუ თავისუფლების დროს ეწევიან ამა თუ იმ სამუშაოს და ასე ეხმარებიან ღარიბ მშობლებს.

ფულის სიყვარული, ფულის შოვნის სურვილი პატარაობიდანვე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი იქაურ ბავშს და წიგნების კითხვისთვის და ჟურნალ გაზეთების გასაცნობათ არავის სცალია. ამისთვის ძრიელ ცოტანი იტკივებენ თავს.

ასე არსებული წესწყობილება ისე ჩქარა იჭერს, იზიდავს ახალგაზრდას თავის ბრჭყალებში, რომ ამას აღარ რჩება დრო განავითაროს თავისი გონება ცოტათი მაინც

მართალია, ეს სავალდებულო სწავლა 14 წლამდე არაა საკმარისი თვით არსებული წესრიგის მიერ მოთხოვნილ სამუშაო პირობების ასასრულებლათ, მარა აქ ამ თავისუფალი ქვეყნის მმართველნი ხმარობენ ერთგვარ საშუალებას. ქალაქის თვითმმართველობები მართავენ უსასყიდლოთ საღამოს კურსებს.

მარა ამ კურსებზე არ იფიქროთ გასწავლონ პოლიტიკა-ეკონომია, ისტორია და სხვა გონების განსავითარებელი საგნები. აქ ასწავლიან სპეციალურ საგნებს და იმასაც იმდენს, რამდენიც აუცილებელი საჭიროებაა მუშა მოხელესათვის.

რაც ამ მხრით სკოლაში დააკლდა ბავშს, აქ ამ საღამოს კურსებზე ავსებენ. ხოლო საზოგადო, საპოლიტიკო განვითარებას ახალგაზრდა მოკლებულია როგორც სკოლაში, ისე ამ კურსებზეც. ამით ქვეყნის გამგენი, ბურჟუაზიის მესვეურნი აღწევენ მიზანს —აშორებენ მშრომელს პოლიტიკას.

ხოლო ცხოვრება მაინც თავისას შვრება. ის მაინც აღვიძებს მუშა-მშრომელს, ხოლო ეს გაღვიძება იქ ხდება მეტათ ზანტად, ნელა, კუს ნაბიჯით.

აი ერთი მხრით ეს არა სასურველი პოლიტიკური მდგომარეობა. აუტანელი სამუშაო პირობები. მცირე ხელფასის გამოზედ მეტი მუშაობის ძებნა და თვით სკოლებში ცოტა ხნით სწავლა არის მიზეზი იმის, რომ შვეიცარიელი გლეხი პოლიტიკურათ, პოლიტიკური შეგნებით დაბლა სდგას ჩვენებურ წერა კითხვის არ მცოდნე გლეხსა და მუშასან.

მეორე მიზეზი შვეიცარიელების პოლიტიკური მხრით ჩამორჩენილობისა არის მეტის მეტი ფანატიკოსობა სარწმუნოებაში, მარა ამაზე შემდეგ წერილში

ს. დოლიძე.

ლებლად, რომლებსაც მსოფლიოს ეკონომია და მომავალი გვიმზადებს.

მარქსიზმის მსოფლ-მხედველობით, თანამედროვე სახელმწიფონი აღმოცენდნენ და განვითარდნენ კაპიტალიზმის ნიადაგზე; თვითეულ მათგანში სხვა და სხვა დროს და პირობებში ჩაისახა და აღორძინდა კაპიტალისტური წეს-წყობილება, რომელიც თანდათანობით გაიზარდა, გამძლავრდა და თავისებურათ მოაწყო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. კაპიტალის ბუნება და ხასიათი,—როგორც მუდმივი მომგების მოტრფიალის,—ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე აღმოჩნდა; ამიტომაც იყო, რომ კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებაც ყველა ასეთ სახელმწიფოებში ერთი და იმავე გზით, ერთი და იმავე ეკონომიური, გარდუვალი რკინის კანონების მიხედვით დაიღარა.

კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა გაიარეს სხვა და სხვა საფეხურები თვით კაპიტალის განვითარების პროცესის მიხედვით. ჯერ ისევ ფეოდალურ წეს-წყობილების საშოში ჩაისახა და განვითარდა პირველ-ყოფილი, აშკარათ მძარცვავ-მყვლეფავი სავაჭრო კაპიტალი, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა და წარმოშვა სამრეწველო კაპიტალი. ამ უკანასკნელის თანდითანმა ზრდა-განვითარებამ დაანგრია ფეოდალური ზღუდეები, მისი შემბორკავი დახავსებული კანონ-წესები, დაამყარა ბურჟუაზიული სახელმწიფონი, რომლებმაც დაიპყრეს გარეშე ქვეყნებიც, როგორც ბაზრები. ამ გზით ასეთმა დიდმა სახელმწიფოებმა,—უმთავრესად კი ბურჟუაზიულმა კლასმა თავისი მონა-მორჩილი სახელმწიფოებრივი აპარატის მეოხებით,—მოიპოვეს აუარებელი სიმდიდრე, დააგროვეს კაპიტალი, რომელიც თავის მხრივ გარდიქცა ფინანსიური კაპიტალათ.

გაბატონებული ბურჟუაზიული კლასები თავისი ინტერესების გამომხატველ და დამცველ სახელმწიფო აპარატებსა ჰქმნიდნენ; ბურჟუაზიული მთავრობები,—როგორც კაპიტალისტების ინტერესების დამცველი კომიტეტები, მთელი თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით და თოფ-ზარბაზნებით მხოლოდ გაბატონებულ კლასებს ემსახურებოდნენ.

ყოველ-მხრივ და ყველანაირათ შეიარაღებული ბურჟუაზია ყველა ასეთ სახელმწიფოში შინაური ბაზრის დაპყრობის შემდეგ გარეშე მდიდარ ბაზრების მოპოებას ცდილობდა. გაძლიერებული სამრეწველო და მძლეთა-მძლე ფინანსიური კაპიტალი ამნაირათ მუდამ მებრძოლ სახელმწიფოთ იქცეოდა, რომელიც დაპყრობით გზას ადგებოდა და ამ გზით თავის გაუმაძღარ კაპიტალიზმს ჰკვებავდა. აქედან წარმოსდგა ის იმპერიალისტური სულის კვეთება და გაწვართებული ძებნა დასაპყრობ ქვეყნებისა, ურომლისოთაც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სულის მობრუნება არ შეეძლოთ. კაპიტალის და აქედან კაპიტალიზმის ბუნება,—ეს თანდათან აუცილებელი ზრდა განვითარებაა და რამდენათაც ის შიგნით სახელმწიფოს ფარგლებში მძლავრდებოდა, იმდენათ მისთვის საგარეო ბაზრის მოპოება და მისი თანდათანი გაფართოება აუცილებელი ხდებოდა.

აი ამ ნიადაგზე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები ერთი მეორეს ეხლებოდნენ; საგარეო ბაზრებისათვის იმართებოდა მათ შორის მეტოქეობა და ეკონომიური ბრძოლა, რომელიც მიზეზი ხდებოდა დიპლომატიური და პოლიტიკური ბრძოლისა. სასწორითა და ადლით შეიარაღებული ბურჟუაზიული სახელმწიფო თავის ყურ-მოჭრილ კომიტეტს, მთავრობას— თოფ-ზარბაზნებითაც განუწყვეტლივ აიარაღებდა, რათა მეტოქეები დაემარცხებინა და ცეცხლითა და მახვილით თავისი მაცოცხლებელ-მასულდგმულებელი ბაზარი მოეპოვებინა.

ერთი კაპიტალისტური და იმპერიალისტური სახელმწიფოს თანდათანი შეიარაღება მეტოქეებსაც ასეთსავე გზაზე აყენებდა და მათაც მილიტარიზმს აძლიერებინებდა.

ამნაირათ ერთი მეორის შიში და სამკვდრო სასიცოცხლო ეკონომიურ-პოლიტიკური ბრძოლა საყოველთაო ციებ-ცხელებას და შეიარაღებას ზრდიდა, რაც საერთა შორისო დამონებულ დემოკრატიის აუტანელ ტვირთად აწვებოდა.

ასეთ გაურკვეველ და მუდამ სისხლის სუნით გაჟღენთილ ატმოსფერაში იგივე საერთო შიშიანობა და მოსალოდნელი ომი ყველა ასეთ სახელმწი-

მიმართვა

ოკეანის გზის მუშა-მოსამსახურეთა ... მიმართ

მსოფლიო ომმა და რევოლუციამ საშინელ პირობებში ჩააყენეს ყველა ... ევროპის ... ...

ალრონულ საქმეების შესასრულებ-

II. კლუბები

§ 1. ... კულტურულ-განმანათლებელი სექციები ... ბარ ... ცხოვრებ ... ნ ... ლის დამლევამდე. ... ში დაწვრილებით ... ნდა იყოს მოხსენებული ... ლი. ... ლ ... ბ ... ალ ... ცხოვ ... ტრალურ გამგეობასთან არსებულ კულ-ტურულ-განმანათლებელ კომისიას.

II. კლუბები

§ 2. ... ბ ... ალ ... ბ ... ტ ... ბ ... ალ ... ბ ... ალ ... ბ ... ალ

საყურადღებოთ ეგზავნებიან ცენტრალურ კულტურულ განმანათლებელი კომისიას.

§ 9. რაიონულ კომისიათა სხდომები უნდა მოწვეულ იქმნან საჭიროების მიხედვით და თავმჯდომარის მოწვევით არა ნაკლებ 2-სა თვეში.

§ 10. სექციების დადგენილებანი იწერებიან ჟურნალში.

§ 11. კულტურულ-განმანათლებელ სექციათა მოქმედებაში ადგილობრივ პასუხისმგებელია რაიონული გამგეობები.

§ 12. კულტურულ-განმანათლებელი სექციის თავმჯდომარე ითვლება ბიბლიოთეკის წარმომადგენლად.

§ 13. ახლად არჩეული სექცია, თავის მოვალეობათა მიღების დროს, გასულ წევრებთან ერთად იხილავს და ანგარიშით იღებს ბიბლიოთეკების ფულებსა და ქონებას, რის შესახებაც მონაწილე პირთა ხელისმოწერით იწერება ოქმი. ოქმის ასლი იგზავნება ცენტრალურ კულტურულ-განმანათლებელ კომისიაში.

რკინის გზის პროფ. კავშირის ცენტრალურ გამგეობაში

11 მარტის სხდომა.

უმუშევართა დახმარება. ვინაიდან კონფერენციის გამო კავშირმა ვერ მიიღო ვერავითარი მონაწილეობა თბილისის შრომის ბირჟის მიერ 7, 8 და 9 მარტს უმუშევართა სასარგებლოდ გამართულ დღეებში, გამგეობამ დაადგინა მიეცეს კავშირის ფონდიდან 5000 მანეთი შრომის ბირჟას უმუშევართა დასახმარებლად.

კატეგორიების გადასინჯვის საკითხი. მიენდო შრომის კომისიას, ცენტერაძეს ბოკერიას და შავგულიძეს შეიმუშაონ ფორმა იმ ორგანიზაციისა, რომელმაც უნდა იმუშაოს კატეგორიების გადასინჯვის დარგში და თავის გეგმა წარმოუდგინოს ცენტრალურ გამგეობას.

კულტურულ-განმანათლებელი კომისიის წევრების განთავისუფლება სხვა დანარჩენ სამუშევრებისაგან. ვინაიდან კულტურულ-განმანათლებელ კომისიაში ბევრი საქმეა გასაკეთებელი და კომისიის წევრებს კი ცოტა თავისუფალი დრო აქვთ, აღიძრა საკითხი კომისიის წევრების სხვა საქმეებიდან განთავისუფლების შესახებ. გამგეობამ დაადგინა: კოლექტიური ხელშეკრულობის და ჯამაგირების კატეგორიების გარშემო მუშაობის დასრულებამდის კითხვა დარჩეს ღიად.

ქუთაისის კლუბი. ქუთაისის რაიონული გამგეობა შუამდგომლობს კლუბის ასაშენებლად მიეცეს მას 20000 მანეთი. გამგეობამ დაადგინა: შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას: 20000 მანეთი გადაეცეს კულტურულ განმანათლებელ კომისიას დანიშნულებისამებრ დასახარჯავად.

ლიკვიდაცია ყოფილ მოსამსახურეებისა. გამგეობამ მოისმინა ყოფილ ამიერ კავკასიის რკინის გზელების ლიკვიდაციო ბიუროს შუამდგომლობა 30—40 ათასი მანეთის მიცემის შესახებ. ვინაიდან ბიუროს მიერ წამოყენებულ მოტივები, რომ ის ახდენს ლიკვიდაციას ყოფილი მოსამსახურეებისას, სიმართლეს არ შეეფერება, რაც დამტკიცდა წარმოდგენილი ანგარიშებით, საიდანაც სჩანს, რომ ბიუროომ მიცემული 15 ათასი მანეთიდან მხოლოდ 600 მანეთი დაეხმარა უმწეო მოსამსახურეებს, დანარჩენი კი ბიუროს წევრებმა დახარჯეს, და რადგანაც თვით ბიუროს ხელმძღვანელების პოლიტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ინტერესებს, გამგეობამ დაადგინა: უარი ეთქვას ბიუროს ფულის მიცემაზე.

ფოთის კლუბი. ფოთის რაიონული გამგეობა შუამდგომლობს კლუბის დამთავრებისთვის 12,000 მ. მიცემის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას, 12,000 მანეთი გადაეცეს კულტურულ-განმანათლებელ კომისიას დანიშნულებისამებრ დასახარჯავად.

საავადმყოფოს საქმე. საავადმყოფოში ჩადენილი ბოროტ-მოქმედებათა ოქმები გადაეცა სანიტარულ კომისიას დასკვნისათვის.

დარკვეთის მოსამსახურების მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედება გამგეობამ დაადგინა: დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან სადგურის უფროსი ჯიოშვილი: გადაყვანილ იქმნას სხვა სადგურზე თანაშემწე კიკვაძე და მეისრეები კაპანაძე და ქაშაკაშვილი. კერძო პირების ლომიძის და ჩალიძის შესახებ ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

დროშის შეძენა. დაევალა ამხ. არველაძეს შეიძინოს ცენტრალური გამგეობისთვის კარგი ღირსების დროშა.

სამსახურიდან დათხოვნა. გამგეობამ მოისმინა ჩაჩიკიანცის და ჩიტაიას თხოვნა სამსახურში მიღების შესახებ და დაადგინა: ცენტრალურ კომიტეტის 10 თებერვლის 1918 წ. დადგენილება, რომლითაც ჩაჩიკიანცი და ჩიტაია დათხოვნილი არიან სამსახურ-დან პროვოკაციულ დეპეშის მიცემის გამო, დარჩეს ძალაში.

სამსახურიდან დათხოვნა ბოროტ-მოქმედებისათვის. გამგეობამ მოისმინა მოხსენება საგამომძიებლო კომისიისა მემუხრუჭე კონდუქტორის სოლოლოვის და მატარებლების შემდგენელის კოკაიას შესახებ. დადგენილ იქმნა: ჩამოყენებულ იქმნას მემუხრუჭე კონდუქტორი სოლოლოვი მეისრეთ სამსახურის აუსრულებლობისათვის.

დათხოვნილ იქმნას მატარებლების შემდგენელი იოსებ კოკაია სამსახურიდან ქრთამის აღებისათვის. დაევალა შავგულიძეს გამოიკვლიოს თუ რად გადაეღობა წინ სექცია ადმინისტრაციის მოთხოვნას კოკაიას დათხოვნის შესახებ და რა ზომები იხმარა რაიონულმა გამგეობამ გაუგებრობის გამო სარკვევად.

მომატების საკითხი. სხდომამ მოისმინა გზათა მინისტრის ამხანაგის განკარგულებს 7 თებერვლიდან, რომლის ძალითაც ახალი მომატება ჯამაგირებისა ვრცელდება მხოლოდ იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც 1 თებერვალს ირიცხებოდენ გზაზე მოსამსახურედ, რის შემდეგ გამგეობამ დაადგინა: ეცნობოს გზათა სამინისტროს, რომ ეს დადგენილება უკანონოა და ეთხოვოს მას, რომ მომატება ვრცელდებოდეს ყველა იმ მოსამსახურეებზე, რომლებმაც იანვარში იმსახურეს თუნდაც რაოდენიმე დღე და რომლებმაც გაეროვნების გამო ან თავის სურვილით პირველ თებერვლამდე დაანებეს თავი სამსახურს, ამ შუამდგომლობის პასუხი გვაცნობოს ცენტრალურ გამგეობას.

18 მარტის სხდომა

დღიური ჯამაგირებზე. გამგეობამ განიხილა სამექანიკო დარგის უფროსის შუამდგომლობა, რომ სახელოსნოს მუშებს თვიური ჯამაგირი ეძლეოდეს არა 25 დღის კვალობაზე, არამედ იმისდა მიხედვით თუ, რამდენ დღეს იმუშავებენ მუშები. დადგენილ იქმნა, ვინაიდან ჯამაგირების მიცემა ახალი ნორმით გამოიწვევს გაუგებრობას და წლის ბოლოს მიცემა ეანსხვავებით დღეების ჯამაგირებსა შეუძლებელია, რადგანაც წლის ბოლომდის ბევრი მუშა მოსამსახურე დასტოვებს სამსახურს, აუცილებლად უნდა დარჩეს ძალაში დეკრეტის ნორმები ჯამაგირის მიცემის შესახებ.

ახალ-სენაკ-ზუგდიდის უბნის მოსამსახურეთა შუამდგომლობა. გამგეობამ განიხილა შუამდგომლობა ახალ-სენაკ-ზუგდიდის უბნის მოშა-მოსამსახურეებისა, რომ ისინი მიღებულ იქმნან ფოთის რაიონულ კავშირში. ვინაიდან შავი ზღვის გზა არ გადადის ექსპლოატაციაში და მისი მუშა-მოსახურეები ირიცხებიან დროებითად, თანახმად წესდებისა გამგეობამ შეუძლებლად სცნო მათი კავშირში მიღება. დაევალა ფოთის ლჩ. გაუწიოს ხსენებულს მუშებს იდეიური ხელმძღვანელობა, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნება.

დ. ათაბეგის განცხადება. გამგეობაში შემოვიდა ლნპ. ათაბეგის განცხადება, გაანთავისუფლონ ის რწმუნებულნებულის მოვალეობისაგან. გამგეობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან ცენტრალური გამგეობა, როგორც თავის, აგრეთვე კონფერენციის მიერ სასურსათო საქმის გაკრიტიკებაში ხედავდა და აღნიშნავდა, როგორც დადებითს, აგრეთვე უარყოფითს მხარეებს, ის ვერ ხედავს ვერავითარს საბაბს, რომ ათაბეგმა, არჩეულმა ყრილობისაგან და მის წინაშევე პასუხისმგებელმა, თავი დაანებოს სასურსათო საქმეს ცენტრალურ გამგეობას არ აქვს უფლება ათაბეგი გაანთავისუფლოს თავის მოვალეობისაგან.

ლ. კანკავას განცხადება. გამგეობამ მოისმინა ლ. კანკავას განცხადება, რომ ის დროს უქონლობის გამო განთავისუფლებულ იქმნას კულტურულ განმანათლებელ კომისიაში მუშაობისაგან. დადგენილ იქმნა: განთავისუფლებულ იქმნას კანკავა კულტურულ-განმანათლებელ კომისიაში მუშაობისაგან. მის მაგიერ ამავე კომისიაში არჩეულ იქმნა ამხ. გეგელია.

პავშირის ცხოვრება

სად. ნავთლულიდან. 1919 წელს, 26 მარტს შედგა შეერთებული კრება ს. ს. რ. გზის მუშა-მოსამსახურეთა სექციების. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1. სასურსათო კითხვა, 2. საზოგადო კრების მოწვევა, 3. კულტურულ-განმანათლებელ კომისიის შექმნა, 4. სექციების მუშაობა და სხვა მიმდინარე კითხვები. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხანაგ ნ. იმნაიშვილმა, რომელმაც ფართოთ გააცნო დამსწრეთ თუ როგორ კრიზისს განიცდის დღეს ცენტრალური სასურსათო ნაწილი სურსათის საკმაო უქონლობის გამო და ამავე დროს გადაუშალა დამსწრეთ მთავრობის ახალი დადგენილება სპეკულიანტების წინააღმდეგ საბრძოლველათ, როგორიც არის სურსათის გამოზიდვის აკრძალვა ქუთასის მაზრიდან კერძო პირებისათვის, რაც საშვალებას არ მისცემს სპეკულიანტებს თვითნებობით იმოქმედონ. შეკითხვების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მიიღეს რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ნ. იმნაიშვილისაგან, სასურველია ასეთი გაბედული ნაბიჯი მთავრობისა და იმედს გამოვსთქვამთ, რომ მთავრობა სავსებით გაატარებს ამას ცხოვრებაში და ამასთანავე მოუწოდებთ ყველა მუშა მოსამსახურეებს ს. ს. რ. გზაზედ, რომ მხარი დაუჭირონ ასეთ გაბედულ ნაბიჯს და შეკვეცოთ სპეკულიანტების პოლიტიკა. შემდეგ შემოაქვს განცხადება სექციის წევრს ნიკოლოზ ტატიაშვილს, რომ ქალაქის მოსამსახურეები სარგებლობენ უმეტესათ სურსათით და ჩვენ, ნავთლულის მუშა-მოსამსახურები ვერა, რაზეც კრებამ დანიშნა ორი წარმომადგენელი, რომელნიც გამოარკვევენ საქმის სინამდვილეს. მეორე საკითხის შესახებ კრებამ იცნო საჭიროდ, რომ იქნეს მოწვეული საზოგადო კრება, რომელსაც ასარჩევი ეყოლება სარევიზიო კომისია. დანარჩენი კითხვები გადაიდო.

მდივანი **ს. შუბლაძე.**

ლექცია. 30 მარტს, თბილისის საქონლის კასაში. სად. თბილისის რაი-

ონული კავშირის გამგეობის მიერ მოწვეულმა ლექტორებმა ამხ. გ. ბახტაძემ და ინჟ. ალშიბაიამ წაიკითხეს მეტად შინაარსიანი ლექციები. პირველმა „ომი და მისი შედეგები“, მეორემ „ფინანსიური მდგომარეობა რესპუბლიკისა“.

ეს მეორედ იმართება ლექცია და მსმენელთა სიცოტავე იქცევს ყურადღებას, საჭირო კი არის მოწინავე ამხანაგებმა მეტი იმუშავონ, რათა ცარიელი აუდიტორიის წინ არ უხდებოდეს ლექტორს ლექციის კითხვა. გადაწყვეტილია ლექციები იკითხებოდეს ყოველ კვირას, საქონლის კასაში, დილის 10 საათიდან. ყველა წევრი კავშირის ჩათვლის თავის მოვალეობად დაესწროს ყველა ლექციებს და ამითი მისცენ საშუალება ხელმძღვანელებს დასახული მიზანი განახორციელონ.

ლექციის გაგრძელება დანიშნულია კვირას 6 აპრილისთვის, საქონლის კასაში დილის 10 საათზე.

მოწერილი ამგვეგი

ამ დროის „სოციალისტები“.

ის, რაც მოხდა 29 მარტს მოძრაობის მოსამსახურეთა საერთო კრებაზედ, მაჩვენებელია იმისი, რომ იქ მოუკლათიანი იმნაირ ვაუბატონებს, რომელთაც ადგილი არ უნდა ჭქონდეთ დღევანდელი მთავრობის ხელში დამახასიათებელია ის მოდენა და უბრალო საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო ამ კრებაზედ. საჭირო იყო არჩევა სექციონურ კომგეობისა, რაიონულ კომგეობის გადაწყვეტით, რადგანაც ის თავის თავთ დაიშალა, ვინაიდგან წევრების ნაწილი ფრონტზედ გაემგზავრა დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველათ. აი ეს კრება იმნაირ უპასუხისმგებლო პირებმა, როგორიც არიან გზა-აბნეული ბოლშევიკები, გამოიყენეს თავიანთი ზრახვების სასარგებლოთ. თავმჯდომარეს დიდი ენერგია დასჭირდა კრების თავის კალაპოტში ჩასაყენებლათ, მაგრამ ვერ მოხერხდა და მარტის რევოლიუციონერების და აურ-ზაურის შემდეგ, კრება დაადგა იმ აზრს, რომ არ არის საჭირო არჩევნები, ვინემ არ მოისმენენ სექციისგან ანგარიშს, რადგანაც იცოდნენ იმ უპასუხისმგებლო პირებმა თავისი დამარცხება არჩევნებში. აქვე იყო ცდა კითხვის დასმისა ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ, რომელიც კრებაზე არ გავიდა. ბოლოს მაინც კრების დაშლისას ისევ „ძველმა რევოლიუციონერებმა“ მოიკრიფეს რამდენიმე პირი გაფიცვაზე მოსალაპარაკებლათ. ყველა ეს მაჩვენებელია იმისა, რომ მოძრაობის ნაწილს არ აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება... ერთხელ და სამუდამოთ იგი უნდა გაიწმინდოს დამდუპველ და გამთიშველ ელემენტებისგან, რომელთაც შეაქვთ ანარქია მოსამსახურეთა შორის. ის პირები, რომელთაც ნიკოლოზის დროს მეუდრო და თიაღი ადგილი ეჭირათ, დღეს თავის მოქნილი ენით ზოგიერთ მოსამსახურეებს აბრმავებენ და ანარქიისკენ მიაქანებენ. საჭიროა მიეჩინოს თავისი კეთილი ადგილი და გაიწმინდოს ეს სამსახური მაგნე ელემენტებისგან, სანამ გვიან არ არის.

„ო-რი“.

—

სამტრედია. *) ჩვენი საუკუნე მწუხრ და მტანჯველ სენსაციათა საუკუნეა. იშვიათია, ჩვენი დროის ხალხს ისეთი ბედნიერი წუთები მოეკლინოს, რომ ის თავდავიწყებას მიეცეს და დროებით მაინც უკუაგდოს გულის მღრღნელი ბოდმა-ნაღველი... დღეს, როდესაც ჩვენს კოპწია და ნორჩ რესპუბლიკას ირგვლივ კარს შემოხვევენენ შავრაზმელთა ევავ-ეორნები, სომხის ზინგორები, თათრის ბეგები და რუსის გენერლები, და ჩვენს სანუგეშარ თავის-უფლებას მონობის ბორკილში გაჭედვას უპირებენ, ადსდგენ ქართველი გმირები და სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს რეაქციონერებს ეი ამ მედგარმა და შეუპოვარმა ბრძოლამ ჩვენ შეგვიეანა ადთქმის ქვეყანაში და 12 მარტს დედაქალაქ თბილისში გაიხსნა საქართველოსთვის მუდამ სასურველი და საოცნებო დამ. უძნებელი კრება;—ამ დიდებულმა აქტმა შესძლო დროებით გაემხიარულებინა მწუხარე მოქალაქე და მისი ბოდმა უკუ ეგდო...

არ ვიცი, როგორ შეეგება ამ დღეს საქართველოს სხვა სოფელ-ქალაქები, მარა ის, რაც ჩვენ სამტრედიაში იმ დღეს ვნახეთ—არ დაივიწყება...

ქალაქის თვითმართველობამ ორი დღით ადრე შეუდგა სამზადისს, მარა მიუხედავად ამ მოკლე დროისა, 12 მარტის დღესასწაული დიდებული და იშვიათი იყო! რაც გინდ გარედგან შელამაზებულ-შეკაზმული იყოს დღესასწაული-ზეიმი, თუ მას არ ამშვენიერებს ღია, გახარებული და საზეიმოდ გამზადილი მოქალაქის ბუნება, ის მაინც უფერული და მოსაწყენია. და აი სწორედ 12 მარტის დღესასწაული მით იყო მშვენიერი, რომ მას ამკობდა მოქალაქის გულწრფელი მხიარულების მარავანდედი.

გათენდა 12 მარტი; წვიმა სცრის, (რის გამო არ მოხერხდა მიტინგ-ზეიმის სტაროსელსკის მოედანზე გამართვა) ქალაქი საამურად მორთულია; ეკლესიერს დღესასწაულის ელფერი აძევს, თუმცა ეტყობა, ყველა სწუხს ბუნების შეუთანხმელობის მდგომარეობასთან. 11 საათიდგან ხალხი იერის თავს მწვანე მოედანზე და აკაკის ქუჩაზე; გამწესრიგებელის გამოტდილი ხელი ყველაფერს ემჩნევა; 12 საათზე ქალაქის საბჭოში დანიშნულია საზეიმო სხდომა; ამავე დროს მეორე საზეიმო სხდომა დანიშნული აქვს რკინის გზის პროფესიონალურ კავშირს. ამ უკანასკნელის ყველა წევრები ერთსულოვნად იერიან თავს ადგილობრივ რკინის გზის დარბაზში. რკ. გზელთა კრებას მიტანგური ხასიათი მიეცა: კრებას ხსნის თავმჯდომარე კავშირისა ამხ. ივანე კიკაბიძე. მან მიესალმა დამსწრეთ და მოკლედ, მარა კარგვეგით ადნუსხა დღის მნიშვნელობა, რასაც დამსწრენი ტაშის ცემით შეხვდენ. რკინისგზელთა ორკესტრმა დაუკრა მარსელიოზა, რასაც ხალხი ფეხზე ადგომით შეხვდა, შემდეგ ტრიბუნაზე ადიან ორატორები: ნინო ძიძიგური და ევგენი ძიძიგური. მათი ლაპარაკის საგანს შეადგენდა ეურადღების ცენტრი—დამფუძნებელი კრება და რკინის გზელთა როლი ამ საქმეში. ორატორნი ტაშით დააჯილდოვა საზოგადოებამ, მუსიკა შესცვალა მომდერალთა გუნდმა; ბოლოს კრებამ შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა და დროშებით, მუსიკით და მწყობრად გამწკრივებული ადგილობრივ რკინის გზის სასწავლებლების მოწაფეთა და მუშათა პროტესია დაიძრა ქალაქისაკენ და შეუერთდა სამტრედიის სხვა მოქალაქეებს.

აუარებელ ხალხს მოუერია თავი; ცეცხლწმინდება; საამური სანახავია აკაკის ქუჩა: მარჯვენა მხარისკენ სიმისებურ მწყობრად გამწკრივებულია ადგილობრივი ჯარის გუნდი და გვარდია მუსიკით; მარცხნივ ყველა სკოლების მოწაფენი—გიმნაზიის მოწაფეთა ორკესტრით; მოედანთან რკინის გზის მუშები დროშით და მუსიკით და ირგვლივ დამსწრე მოქალაქენი. მოედანთან ამართულია ტრიბუნა, მის ირგვლივ თავს იერის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ხონის ქუჩიდგან გამოჩნდა ქალაქის მოურავი ვლადიმერ პაპავა, ყველა დაწესებულებათა უფროსების თანხლებით მან ჩამოუარა გამწკრივებულ ჯარს და გვარდიას შემდეგ მოწაფეებს და ბოლოს მუშებს. სათითოდ მიესალმა ამათ და მოკლე, მარა წრფელი და გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა, მუსიკა გუგუნით პასუხს აძლევდა; გავიდა რამოდენიმე ხანი და ქალაქის მოურავის წკრიალა ხმა გაისმა ტრიბუნიდგან. მან თვის სიტყვაში ვრცლად გაიცინო დამსწრეთ დღის მნიშვნელობა. გაათავა ლაპარაკი და იგრიალა „გაშამ“ და მუსიკამ. შემდეგ დაიწყო სხვა-და-სხვა ორგანიზაციების მიერ მისალმებანი, ბოლოს გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია დამფუძნებელ კრებისთვის გასაგზავნად და დაიძრა გრანდიოზული მანიფესტაცია ჯარის უფროსის და მოურავის მეთაურობით. ჩამოვლილ იქმნა ყველა მთავარი ქუჩები და 4 საათზე ხალხი ძლიერ ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა.

საღამოს 11 საათიდგან ქალაქის საკრებულო დარბაზში ქალაქის თვითმართველობამ გაშართა საზეიმო რაუტი, რომელზედაც მოპატიჟებულ იქმნა წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა ორგანიზაციებისა და მსურველნი განსაზღვრული რიცხვით. დაესწრო 125 კაცი.

რაუტი გახსნა ქალაქის მოურავმა; იქმნა წარმოთქმული საზოგადოებრივ მნიშვნელობის პიროვნებათა და მოვლენათა საადგილო, როგორც მაგ.: დამფუძნებელ კრების, გვარდიის, ჯარის, ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას; კარლო ჩხეიძის, საქართველოს დამოუკიდებლობის და სხვათა. დამსწრე საზოგადოება ერთსულოვან ტაშით და ოვაციებით ხვდებოდა „ტოსტებს“ წარმოითქვა ბევრი სიტყვა სხვა-და-სხვა ორგანიზაციების სახელით. მუსიკა გრიალებდა, ყველა სუფრაზე ზეიმი—ბუბუნებდენ და საზოგადოება თანდათან ეუბნებოდა ზეიმობდა და ლხინობდა.

უცებ ჩაქრა ელექტრონი; ფარდა აიხადა და ტელეფონის ალისფერ სინათლეში გამოჩნდა ეროვნული დროშა. ტაშმა იგრიალა და თავშეუკავებელი მხიარულება აღმოხდა თვეობით დამწუხრებულ მოქალაქეს გულიდგან. დროშა გამოტანილ იქნა და შუა დარბაზში აღმართული...

ძალზე მხიარული საზოგადოება დაიშალა დილის 5 საათზე. ვინც ამ დღეს სამტრედიაში იყო, მას მუდამ ეხსოვნება ეს ბუნებრივი ზეიმი მოქალაქისა საქართველოს დამფუძ. კრებით გამოწვეული!..

უგულითადესი მადლობა ქალაქის თვითმართველობას, რომ მან ასე მშვენივრად მოაწყო ეს დღესასწაული!

ნინო ძიძიგური.

კვირიდან კვირამდე

საქართველოში.

— ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭომ პროტესტი განუცხადა ადერბეიჯანის მთავრობას, რომელიც საქართველოს შინაურ საქმეებში ერევა.

— გენ. დენიკინის ტყვეობიდან ბათუმში მოვიდა ქართველ ჯარისკაცთა მეორე პარტია, ვაგონების უქონლობის გამო, ისინი იგლისელებმა ფოთში გაგზავნეს.

— სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა ჩვენს მთავრობას, რომ სომხეთი საქართველოს რესპუბლიკას სთვლიდა და ახლაც სთვლის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

— ტრაპიზონის ვილაეთში და ბათომის ოლქში ოსმალეთის მთავრობის აგენტები ხალხში აგიტაციას ეწევიან მებრძოლი რაზმების შესადგენად.

უცხოეთში

— გერმანიამ უარი განაცხადა დროებითი ზავის იმ პირობის შესრულებაზე, რომლითაც მოვალე იყო ნება დაერთო მოკავშირეთა ჯარებისთვის დანციგით პოლონეთისკენ წასულიყო.

— ბალშევიკების ცნობით, საზავო კონფერენციამ გადასწყვიტა დანციგი არ გადასცეს პოლონეთს, რადგან ამის გამო გერმანია ენერგიულ პროტესტს აცხადებს.

— პოლონეთსა და უკრაინას შორის დროებითი ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკება განახლდა.

— უნგრეთის საბჭოთა განკარგულებით დაპატიმრეს ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი.

— ჩეხო სლოვაკების მთავრობა გადადგა.

— ბალშევიკების ცნობით გერმანიის მთავრობაში ლაპარაკია მოსკოვთან კავშირის დაჭერის შესახებ.

*) ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.

— ბერლინში ინგლისელ ებრაელთა ეროვნულ-ეკონომიური ორგანიზაციის ... ებრაელ ... ...